ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #05-03/136-2019

ქ. თბილისი 16.05.2019 წელი

ერთი მხრივ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.#77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით **(„შემსყიდველი“)**, და მეორე მხრივ - შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“ (მისამართი: თბილისი,) წარმოდგენილი მისი იურისტის გიორგი წაქაძის სახით **(„მიმწოდებელი“)**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1.ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს საკუთარი სახსრებით დაფინანსების ფარგლებში შემსყიდველის საკუთრებაში არსებული DAYSY EXPERT საკონტროლო სალარო აპარატის (შემდგომში „სსა“) სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურება, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილება. საკონტროლო სალარო აპარატის ნომერია: DY00087217 (CPV72315100-მონაცემთა გადაცემის ქსელის ტექნიკური მხარდაჭერა)

- საგარანტიო მომსახურება გულისხმობს მიმწოდებლის მხრიდან სსა-ის ნებისმიერი ტექნიკური გაუმართაობის მიზეზების აღმოფხვრას. საგარანტიო მომსახურების ღირებულება გათვალიწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებაში.
- მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის შესაბამის სერვისცენტრში, შესაბამისი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალის მიერ. აღნიშნული მომსახურების მისაღებად შემსყიდველი ვალდებულია დაზიანებული სსა მიაწოდოს მიმწოდებლის შესაბამის სერვის ცენტრში, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება.
- იმ შემთხვევაში, თუ სსა-ს დაზიანება გამოწვეულია შემსყიდველის მხრიდან მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესების არასწორად გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის, სსა-ს შიდა მოწყობილობაში შესვლის მცდელობის, მისი მექანიკური დაზიანების, ფორს-მაჟორული შემთხვევის შედეგად, შემსყიდველი კარგავს მიმწოდებლისაგან საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების მიღების მოთხოვნის უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია გაახლოს სსა-ს საგარანტიო და ეტქნიკური მომსახურება, მხოლოდ მისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ.

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 60 (სამოცი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას უზრუნველყოფს სტუ-ს საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტი“-ს დირექტორის მოადგილე მარინე მეძმარიაშვილი

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 20 მაისამდე.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, სსა-ს რეგისტრაციის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 1 ივლისამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია ელექტრონულად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მის: კოსტავას ქ. #77 სახელმწიფო ხაზინა ა.ა. სახაზინო კოდი 708977289 ს.კ. 211349192 ბანკის კოდი TRESGE22 ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ. ქოქრაშვილი ----------	შპს ”ჯორჯიან სერვის ნეთვორკი” ს/კ: 406049823 **ტ, (032) 2 500 111** ვებ.გვერდი: **http://gsn.ge** ელ. ფოსტა: info@gsn.ge სს "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი : TBCGE22, ა/№ GE70TB7114436080100001 წარმომადგენელი: გიორგი წაქაძე Giorgi Tsakadze Digitally signed by Giorgi Tsakadze Date: 2019.05.16 11:59:23 +04'00'